ფასი 50 კაპ.

წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის უწყებანი

№ 10 ორშაბათი, 15 იანვარი, 1919 წ. № 10

მთავრობის მოამბე. ყოველ დღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებები)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—120 მ., ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით—10 მ. ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სადაც დებულია განსაკუთრებული დადგენილი ნიხრები, ეკრძალა განცალკევებით შეთანხმებით, გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე. ბარონის ქ., № 6, ტელეფონი 1—32.

სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, 15 იანვარს „მარგალიტის მაძიებელნი“. მონაწილეობენ: სამანეველი, სარაჯიშვილი, ვრონსკი.

შაბათს, 18 იანვარს „კამარა“. მონაწილეობენ: სამანეველი, პოროშოვი, იანსა, ხალიპანი, პოლიაევი, ვრონსკი, ისაკია.

33 1—1

ოპერა.

ს. ი. ეკატერინეწინის დირექცია.

ხუთშაბათს, 16 იანვარს, „აფრიკელი ქალი“. ალეკსის, გაშმარსკის, მარკოვის, პოლიაევის და ისაკიას მონაწილეობით.

კვირას, 19 იანვარს, დილით: „რიგოლეტო“. საღამოობით დირიჟორ სტოლერმანის სანერვიულოდ—„პრესლან და ლიუდმილა“. მონაწილეობენ: სამანეველი, იანსა, ხალიპანი, კანშინი, ნიკოლსკი, დემიანენკო.

რაჭის სამაზრო საერთო გამგეობა

ამით აცნობებს, რომ ხსენებულ მაზრაში ასარჩევი ოთხი მომრიგებელი მოსამართლე, ვისაც სურს არჩეული იქნას განცხადება უნდა შემოიტანოს გამგეობის სახელზედ დ. ონში.

52 4—1

დიდი ხნის ნამსახური

ასწავლის საწერ მანქანებზე და ამზადებს სპეციალურად

დაქნესებულებისთვის

(ყველა სასაზრის ქალაღდების ფორმების შესწავლით). იქვე ასწავლიან ქარხულ ენას. ლერმონტოვის ქუჩა, № 29. 40 3—2

ქ-ძე ი. პ. ეგაძისა

შინაგანი ავადყოფობა.

განაგრძობენ ავადმყოფობანი გულკერდის, ფილტვების, სისუნთქვის, ფილტვების ამოსის გულისა და ჯირკვლებისა.

ამოკითხვა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ ჯერისა სათის 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86. № 719.

ორგანგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

მეცნიერის დოქტორის

გ. მერაბოვისა.

ორგანგენოლოგია წარმატებით მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა), ბინაზედ ნებისმიერ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, კლიმის ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), კუჭისა და ნაწლავების წამლობა. ორგანგენოლოგია ჩაწერა დაწერილებს რიგ გარეშე იღებენ. ბეთონის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 სათ.

70—11

საწყალებს უფასოდ. 624.

1918 წ. სარჯი-აღრიცხვა.

მიწათ-მოქმედების მინისტრის, მისი ამხანაგის და მინისტრის სამდივნო.

№ № რიგებ.	დასახელება ორდინატებისა და განაკვეთებისა.	მოსამსახურეთა რიცხვი	შენახვა 6 თვის განმავლობ. ერთი თვის.	ყველა 6 თვის.
1	მიწათ-მოქმედების მინისტრი	1		პარლამენტის პირდაპირი დანიშნულებისამებრ.
2	მინისტრის ამხანაგი	1	თვიურად.	
	მინისტრის სამდივნო.			
1	სამდივნოს წევრები თანამდებობის მიხედვით. ხელმძღვანელი გასამრჯელო ჯამაგირების გარდა	2		
2	ოფისმენელები	1	—	
3	სამდივნოს წევრები დანიშნულებისამებრ	2	0.800	10.800
4	ხარჯი გამოწერილ სამინისტროში მოსამსახურეების სხვა და სხვა დროებს გაგზავნ-გამოგზავნით დღიური და გზის ფული და პროვინციებიდან ქალაქში გამოწერილ მოსამსახურეების დასაქმაყოფილებლად	—	—	15.000
	სულ	7	—	25.800

1918 წ. დეკემბრის 31.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჯორდანია.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გვნება არიან შტატი და ხარჯთაღრიცხვა.

№ № რიგებ.	დასახელება თანამდებობის და გასავლისა.	მოსამსახურეთა რიცხვი	შენახვა. ერთ თვეში მან.	ექვს თვეში მან.
1	კანცელარიის დირექტორი	1	1000	6000
2	ვიცე-დირექტორი	1	900	5400
3	მინისტრის პირადი მდივანი	1	650	3900
	საინსპექტორო განყოფილება.			
4	განყოფილების გამგე	1	650	3900
5	მისი თანაშემწე	1	550	3300
6	რეგისტრატორი	1	400	2400
7	არქივარიუსი	1	400	2400
8	მანქანით გადამწერი	4	400	9600
	საბუღალტრო ნაწილი.			
9	უფროსი ბუღალტერი	1	900	5400
10	ბუღალტერი	1	700	4200
11	ბუღალტერის თანაშემწე	3	600	10800
12	კასსირი	1	500	3000
13	მოანარიშე	4	400	9600
	რეგისტრატურა.			
14	რეგისტრატორი	1	450	2700
15	მისი თანაშემწე	1	450	2400
	იურიდიული განყოფილება.			
16	იურისკონსულტი	1	1000	6000
17	მისი თანაშემწე	2	900	10800
18	საქმის მწარმოებელი	1	600	3600
19	მანქანით გადამწერი	1	400	2400
20	არქივისა და წერთა საცავის გამგე	1	550	3300
21	შენობის ხელმძღვანელი და ეკონომიის ნაწილის გამგე	1	550	3300
22	მაკრატი	5	300	9000
23	შენობის დაშორავება ბოლო, გათბობა და განათება	—	—	10000
24	საკანცელარიო ხარჯი, როგორც მაგალითად: ქალაქის, მელნის, საწერ ქაღალდის, კარანდაშის და სხ. დაშენებ და გაგზავნა, გამოწერა ჟურნალ-გაზეთებისა, წიგნებისა და სხვა	—	—	10000
25	ტელეფონის ხარჯი: ქალაქის, სამინისტროში მოსამსახურეთა სხვა და სხვა ადგილას გაგზავნ გამგზავნით გამოწერილი ხარჯისათვის	—	—	10000
26	შემწეობის იურიდიულ ადგილსაც ნოსამსახურეობის და სანკელიის გამო წმინა ოჯახების დასამარებლად	—	—	25000
27	სასამართლოში საქმეების საწარმოებლად გამოწერილი ხარჯისთვის	—	—	2500
	სულ	—	—	170900
				ორ თვეში 1 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე
	შენობა			
28	იურისკონსულტი ქუთაისში	1	900	1500
29	საქმის მწარმოებელი	1	500	1000
	სულ	—	—	2500
	ჯამი	—	—	173400

1918 წ. დეკემბრის 31.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჯორდანია.

ოფიციალური განყოფილება

გრძანება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა.

13 იანვარი. 1919 წ.

№ 5.

საქართველოს რესპუბლიკის ოკრუგის გაზეთში მოხსნილ იქნას სამხედრო წესები 21 იანვრიდან ა. წ.

№ 6.

მოიხსნას სამხედრო წესები ტფილისის გუბერნიაში 13 იანვრიდან ა. წ. გარდა ქალაქ ტფილისისა და ბორჩალოს მაზრისა.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჯორდანია.

კანონი

მიწათმოქმედების სამინისტროს შტატისა და ხარჯთაღრიცხვისა.

1. დამტკიცებულ და ამა 1918 წლის ივლისის პირველიდან შემოღებულ იქნეს ამ კანონით დართული მიწათ-მოქმედების სამინისტროს შტატი და ხარჯთაღრიცხვა.

2. გადაიდოს სახელმწიფოს ხაზინიდან ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთაღრიცხვისათვის სამს სამოცდა ცხრამეტ ათას სამას ხუთმეტ (379815) მანეთი შემდეგის განაწილებით: მინისტრის სამეფისათვის 25000 მანეთი, კანცელარიისათვის 173400 მანეთი, სალარისათვის 168680 მანეთი და ყოფილ გიმნაზიალებულა მმართველობისათვის ერთი წლის ხარჯად 11435 მანეთი.

3. სიღნაღის მაზრის ალეკსის სამკურნალო პუნქტი, რომელიც მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსებულ გადმისახლებულთა მართველობის გამგეობაში იყო, 1919 წლის იანვრის პირველიდან გადეცემეს და მისი შემდეგში არსებობის და მართვა გამოიძებ მორეცრიგება დაეკისრის სამინისტრო ერთას.

1918 წ. დეკემბრის 31 ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჯორდანია.

1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა გაძღომასხლებულთა ყოფილ მართველობისა.

№№	ანგარიში ვის რამდენი ეკუთვნის.	რიცხვი მოსამსახურეთა	ჯამაგირი.	ფასი
	სიღნაღის მაზრის ალექსის სამკურნალო პუნქტი.			
1	პუნქტის ფერშალი	1	264,88	3175
2	„ დარაჯი	1	165	1980
	ცენტრალური საავთომობილო საწყობი ტფილისში.			
1	საწყობის გამგე	1	358,33	4300
2	„ დარაჯი	1	165	1980
	სულ . . .	—	—	11435 მ.

1918 წ. დეკემბრის 31.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ჯილიანი ცხენის ძოძუებისა.

№№ რიგზე	გასავლის დასახელება	რიცხვი მოსამსახურეთა	ჯამაგირი. თვეობრივ.	ჯამაგირი. პირველი ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით.
	მოსამსახურეთა შედგენილობა.			
1	საჯინიბოს მოურავი	1	500	3000
2	ბეითალი	1	400	2400
3	მწყრალი	1	300	1800
4	განაცივება, გათბობა, საკანცელარიო და სათვალთო ხარჯი			15780
5	შენობების დაქირავება			6500
6	დაქირავებულ პირთა შენახვა	4	300	7200
7	ცხენების მოვლა დასუფთავება და სხვა (ცხენზე 1 კაცი)	20	250	30000
8	საქონლის საკვების მოპოვება			100000
9	ცხენების ჩამოტარება მოსაშენებელ პუნქტებზე			2000
	სულ . . .	—	—	168800

1918 წ. დეკემბრის 31.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

კანონი.

ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა საარჩევნო დებულების შეცვლისა და დამატებისა.

1. მუხლი მეათე ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნების დებულებისა შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

10. ხუთი დღის განმავლობაში დღიდან სიების გამოცხადებისა საყოველთაოდ განსახილველად, ადგილობრივი ადმინისტრაციის უხმაღლეს წარმომადგენელს შეუძლიან განაცხადოს პროტესტი, როლო ამ პრეტენზიებს შეუძლიანთ განაცხადონ სიების ფურცლობა ან უსწორობა. ასეთი პროტესტი და საჩივარი უნდა წარედგინოს ქალაქის გამგეობას, რომელიც ვალდებულია განიხილოს იგი ორი დღის განმავლობაში და შედეგი გამოუცხადოს მომჩივანს. თუ ამ ვადის განმავლობაში მოშჩივანს შეეძლო ვერ გამოეცხადებინ ან უარს ეტყოდა საჩივარზე, მოშჩივანს შეუძლიან ორი დღის განმავლობაში პროტესტით ან საჩივრით მიმართოს სათანადო ინსტანციის ადმინისტრატიულ სასამართლოს, რომელიც ვალდებულია ორ დღეში განიხილოს ყველა საჩივარი. სასამართლოს გადაწყვეტილება სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი, მაგრამ შეიძლება მასი განსაჩივრება უზენაეს სასამართლოში. ეს საჩივრები მიეცემენ უნდა იქნეს განსახილველად მხოლოდ არჩევნების საზოგადოდ განსაჩივრების დროს იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია ამ კანონის 32 მუხ.

მუხ. მე-11 შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

11. საარჩევნო სიები შესწორების შემდეგ, მე-8 მუხლში ნაჩვენები წესით, არა უგვიანეს სამი დღისა არჩევნების დღემდე ხელმორედ გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაოდ განსახილველად.

მუხ. მე-13 შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

13. არჩევნები უნდა მოხდეს კვირა ან უქმე დღეს ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებით, მაგრამ არა უგვიანეს ორი დღით თვისა დღიდან ნრწუნების ვადის შესრულებისა. თუ ქალაქი დაყოფილია საარჩევნო უბნებად, ყველა უბანში არჩევნები უნდა მოხდეს ერთ და იმავე დროს. საარჩევნო კომისიები არჩევნების დღეს მოქმედებენ დილის 9 საათიდან სალამოს 9 საათამდე; დღეს საათი და ადგილი არჩევნებისა ქალაქის მოურავმა არა ულვანეს ორი კვირისა არჩევნების დღემდე უნდა გამოაცხადოს საყოველთაოდ იმ საშუალებით, რომელსაც მიიღებს ქალაქის საბჭო.

1919 წ. იანვარს 14-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ი. ბარათაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

კანონი

ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებში ენის ხმარებისა.

1. მსჯელობა, საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა ქალაქის და ერობის თვითმმართველობაში სწარმოებს სახელმწიფო ენით.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილებით სიტყვის წარმოთქმა და განცხადების შეტანა თვითმმართველობის ორგანოებში შეიძლება შემთხვევით იქნეს სხვა ადგილობრივი ენითაც.

3. უკეთუ რომელიმე თვითმმართველობის ფარგლებში მცხოვრებ რესპუბლიკის მოქალქეთა ნახევარზე მეტისათვის სპეციალური ადგილობრივი ენა, თვითმმართველობის ორგანოების დადგენილებით, მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფო ენასთან ერთად შეიძლება შემოღებულ იქნეს ამ ადგილ-ენასთან ერთად.

4. ეს კანონი არ ვრცელდება სოხუმის და სოჭის ოლქებზე.

5. ეს კანონი ძალაში დღიდან გამოქვეყნების პარლამენტის მიერ.

1919 წ. 14 იანვარი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ი. ბარათაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

ასა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

სამხედრო წესების მოხსნა.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა მოხსნა სამხედრო წესები ტფილისის, გორის და თელავის მაზრებში სრული წესგარების დამყარების გამო. დატოვებულ იქნა სამხედრო წესები ქ. ტფილისსა და ბორჩალოს მაზრებში.

დახმარება ქუთაისის თვითმმართველობას.

მთავრობის დადგენილებით ქუთაისის თვითმმართველობას 10 მილიონიან ფონდიდან ფულად მიეცეს დახმარების სახით 100 ათასი მანეთი, ხოლო დანარჩენი 75354 მან. და 65 კ. გადადებულ იქნეს შენაგან სამეთო სამინისტროს ეკონომიებიდან.

გზის მდგომარეობის გამორკვევა.

მთავრობის დადგენილებით სახელმწიფო კონტროლიორს დაევალა გამოარკვიოს მდგომარეობის საკითხი და მოახსენოს მთავრობას.

სენთან ბრძოლა.

გაეხსნას იუსტიციის მინისტრს 10 მილ. ფონდიდან 50000 მან. კრედიტი ცხენებში გავრცელებულ ტიფთან საბრძოლველად იმ პირობით, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ ახლო მომავალში წარმოდგენილ იქნას სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა.

არჩევნების გამო.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება და კანონ-პროექტი ქალაქთა საქმების მმოსანთა არჩევნების დებულების შეცვლისა და დამატების მოწონებულ იქნეს და წარედგინოს პარლამენტს.

თვითმმართველობის ენის შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრის კანონ-პროექტი ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებში ენის ხმარები. მოწონებულ იქნეს და წარედგინოს პარლამენტს.

ბათუმში შესვლა უნებართვოთ.

მთავრობის დადგენილებით ქართველებს მიეცათ უფლება ბათუმში შესვლისა უნებართვოთ.

სამხედრო ჰოსპიტლები.

სამხედრო ჰოსპიტლებისთვის ყოველ ღირსეული სპეციალისტებისთვის ყოველ ღირსეული სპეციალისტებისთვის ყოველ ღირსეული სპეციალისტ

ნის კომისარის თანაშემწე ქ. ცქიტიშვილი, 2) პირველი უბნის კომისარი გიორგაძე და 3) მეხუთე უბნის კომისარი იბრაგიმოვი. ხოლო მესამე უბნის კომისარის თანაშემწე ჯორბენაძე დატუსაღებულ იქნა 7 დღით.

დაპატიმრებულ ხომებთა შესახებ.

საგანგებო კომისია გენ.-გუბ. მაღლაკელიძის მეთაურობით უკვე იკვლევს ორივე ციხეში დატუსაღებულ სომეხთა საქმეებს. მეტეხის ციხეში საერთო რიცხვი პატიმართა ულრის 471 კაცს, ხოლო № 1 712 კაცს. კომისიამ განიხილა იმ პირთა საქმე, რომელნიც გენერალ-გუბერნატორზე თვეზემეტნენ. ზოგიერთი უკვე გაანთავისუფლეს, ზოგი საჭიროებს გაღასახლებას და დანარჩენნი მცირე ხნით არა ნაკლებ ექვსი თვისა დარჩებიან დატუსაღებულად.

ფარული სტამბა.

ტფილ. გენ.-გუბერნატორის მაღლაკელიძეს ცნობა მოსვლია, რომ „ეპოქა“-ს სტამბაში ფარულად იბეჭდება ეგრედ წოდებული „ხაზი ზანგია“. მისი განკარგულებით ფიცხლავ მოახდინეს ამ სტამბაზე ჩხრეკა და 887 ცალი ამ გაზეთის ნომრისა უკვე გამზადებული აღმოაჩინეს. სტამბის პატრონმა კარაპეტოვმა განაცხადა, რომ მის ინოვნ ეს სტამბაო ამ გაზეთის რედაქტორ ახალიანის მიერ.

ფოსტა-ტელეგრაფი

თეორეტე ამა იანვრიდან გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება სენაკის მაზრის სოფელ სუფსაში, რომელიც შორავს ამაზის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას ცხრა ვერსზე.

ფოსტისა და ტელეგრაფის კორესპონდენციის გაცვლა-გამოცვლა ხდება ამ ამაზისად.

არჩევნების გარშემო.

არჩევნების ინსტრუქტორების დანიშვნა.

საქართველოს სხვა და სხვა ალაგებში ინსტრუქტორების დანიშვნა დამფუძნებელ კრების წევრების არჩევნების სახელმძღვანელოთო ცენტრალურ კომისიამ თავის პრეზიდიუმს მიანდო.

ქუთ. მაზრის საარჩევნო კომისიის დამტკიცება.

დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა ქუთაისში ამორჩეული მაზრის საარჩევნო კომისია.

საარჩევნო კომისიების შექმნა

დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიის დებეზებით ანონიებენ, რომ სამაზრო საარჩევნო კომისიები უკვე შეიდგენიან ოზურგეთში, დუშეთში, გორში, სიღნაღში, ახალ-სენაკში და წყალტუბეს ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში.

—

ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში მოთარობის რწმუნებული ბ-ნი ჯიბლაძე დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ დანიშნა დამფუძნებელ კრების არჩევნების ხელმძღვანელად.

სავუბერნიო ინსტრუქტორები.

დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ საგუბერნიო ინსტრუქტორებად მოწვეულ იქნენ 5 სოციალ-დემოკრატი, ორი სოციალ-ფედერალისტი, სოციალისტ-რევოლიუციონერი და ნაციონალ-დემოკრატი ცენტრალური კომიტეტის წევრმა ბ-ნმა თვალთხოვება (დაწხაცაძემ) წინადადება შეიტანა, რომ რაც საგუბერნიო ინსტრუქტორებთა შორის გრიალ ალაგ მიეცეს სოციალისტ. ცენტრალურმა კომისიამ ამ საკანძე ნაციონალური პრინციპი არ მიიღო.

ხარჯი დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებისაებრ დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის გადაიდო 4 მილიონი მან. სახარჯოთ. ეს ფული უნდა გადაეცეს სახელმწიფო ბანკში ცენტრალურ კომისიის და მინდინარე ანგარიშში წარწერით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ თავის წევრს—ხახიბერიძეს მან. 2 გვიხვია დაავალა მილიოს ყოველივე ზომები ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად.

ქალაქის გამგეობაში

კომისრის თანაშემწეების დანიშვნის შესახებ

ქალაქის გამგეობამ დაადგინა იშვიათგვარ-ლის სახელოს წინადგენის და ავლაბრის მილიციის ნაწილების კომისრებისათვის შეორე თანაშემწეს დანიშვნის შესახებ, რადგანაც ამ სარი ერთის თანაშემწეთ ვერ ასწრების თავის მოვალეობის ასრულებას.

ტრამვაის შესახებ.

ტრამვაის დღიური შემოსავალი ამ უკანასკნელ დღეებში კიდევ შემცირდა 40 თუს მანეთამდე, რადგანაც ტრამვაის ადმინისტრაცია იძულებულია მარტო 48—50 ვაგონი გამოუშვას. დანარჩენი 80—92 ვაგონი დახაენებულია და მათი შეკეთება ლიანდაგზე გამოსაშვებად დამოკიდებულია ვაგონების საათაობით ნაწილების მოეებაზე. ვაგონების შესაკეთებლად ზოგიერთი ნაწილები ქალაქის გამგეობის მიერ გაგზავნილმა ინჟენერმა ბაქოში იშოვნა, შეისყიდა და ამ ორი კვირის წინათ გამოგზავნა კიდეც ტფილისში, მაგრამ ტრამვაისთვის დატვირთულ მასალებით ვაგონში ბაქოდან ტფილისში ჯერ არ მოსულა და ვერც გაეგებათ რომელ სადგურზე მოუხსნიათ მატარებლიდან ეს ვაგონი.

სამრეველო საზოგადოების თხოვნა.

საკასაო ზები ხლის სამრეველო საზოგადოებამ ქალაქის გამგეობას მიმართა თხოვნით, რომ მან გადასცეს ამ საზოგადოების ერთ ერთი ფურნე პურის გამოსაცხობათ და იმ ფასათ გასასყიდლათ, რაგანაც ამ საზოგადოებას საზოგადოება უპირველი რუსეთში იაფ ფასათ ხორბლით და ფქვილით ყიდვისა.

სტაენდების დანიშვნა.

ქალაქის გამგეობამ უმთავრეს სასწავლებლებში შემდეგ სტუდენტებს დაუნიშნა სტიპენდიები. ამისათვის მოვიდა სტიპენდია დაუნიშნა ამიერ-კავკასიის ერთმა უნივერსიტეტის სტუდენტს ა. ბაზშიეს; ფეთოლეის და იაკულოვის სახელოს სტიპენდია დაუნიშნა ტფილისის პოლიტეხნიკუმის სტუდენტს შალვა ალ. სიმონაშვ. და ქალაქის სტიპენდიები დაუნიშნა ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელთ მ. ი. ეროპაიეველს და ტ. გ. ზუხბელს. რაც შეეხება სტიპენდიების დანიშვნას რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, ამაზე ქალაქის გამგეობამ მსჯელობა გადადო, რადგან ამჟამად შეიძლებელი რუსეთის უნივერსიტეტებში ფულის გაგზავნა ეს ერთი, მეორე ისა, რომ ქალაქის გამგეობას არა აქვს ცნობები რომელ უმაღლეს სასწავლებლებში სწორედის სწავლა და ოჯეთვე მას არა აქვს ცნობა მის შესახებ ნამდვილად ირიცხება და სწავლობს სტიპენდიების მთხოვნელი სტუდენტები რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, და რომელში—თუ არა. ამ სტიპენდიების შესახებ გადაიდო, სანამ საუნივერსიტეტო ქალაქებიდან წესიერი მიმოსვლა და ფოსტის კავშირი არ მოეწყოს.

—

ქალაქის გამგეობამ ნიქეაროდის (ყოფილ ვარშავის) უნივერსიტეტის სტუდენტს გრიგოლ მირიმანოვს, რომელმაც ტფილისის რეალური სასწავლებელი დაამთავრა 200 მან. შეწყნარება დაუნიშნა.

—

შაბათიდან თანხის სტიპენდიები ქალაქის გამგეობამ დაუნიშნა მე-5 გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლე ა. მელიქ-ბაზშინოვ და კომერციულ სასწავლებლის მოსამზადებელი კლასის მოსწავლე რ. ხაჩატურიანეს.

ქუთაისი

○ სამტრედიიდან 5 იანვარს ჩამოველენ და სადგურნი ცხენები მოათვალიერა კატო მაქაჭ, რომელსაც ბრალდება სჯ. დემოკრატიული მთავრობის საწინააღმდეგოდ აგიტაციის გაწევაში და ბინაზე აღმოჩნდა 300 ც. დაბეჭდილი პროკლამაცია კომუნისტებისა. მისი განცხადებით ხსენებული პროკლამაციები ვილაცამ განება შეუყარა თაკახში. ასეთივე მოკლატური აგიტაცია ბრალდება ვასილ ვანტანელიას, რომელიც ავადმყოფობის გამო მოათვისეს სამტრედიის ციხეში.

○ 5 იანვარს, შესდგა ქალაქა ინტერპარტიული მეიმართა დამხმარე ბიუროს სხდომა, რომელზედაც გადაწყდა სამხმათ სარჩევნების დარიგება ადგილობრივ ლაზარეთში მყოფ დაჭრილ ჯარის კაცებშიაოვის: პურის, ღვინის, კვერების და თოფთნის. ამის სისრულეში მოსაყვანად არჩეულია კომისია ხუთი ქალაქისაგან შემდგარი.

○ სამტრედიის ქალ. კომისარი ე. კოხრიძე თანამხმრე თავის თხოვნისა განთავისუფლებული იქნა სამსახურიდან და მის ნაცვლად დანიშნა ბოლშევიკური თეორიე ღუნდელი.

○ სახ. გვარიანის შეკაზმა ფორატზე მყოფ გვარიელ ამხანაგებისაგან მიიღო დეპეშა, რომელითაც გვაცნობებენ, რომ ისინი ყველანი კარგათ არიან და უძღუნიან სალამს ნათესავთ და ამხანაგებს.

○ 30 დეკემბერს 1918 წ. დ. ონში შესდგა პირველი სამხარო სადრამო ტრილოგია. სამხარო ერობის გამგეობაში აირჩიეს შემდეგი პირები: თავმჯდომარეთ—დაიოკ ლიბერნიე, მეორეთ—მალაქია გოგებ შვილი, მდივნათ ბიჭ. შველი და ლადო ჯიდარაძე.

○ ქალაქის ჯანმრთელობის და პირთან ბრძოლ კომისიის სხდომაზე ქალაქში შავი სახადის გავრცის შესახებ დადგენილ იქნა: მიღებულ იქნეს ზომები ქალაქის გასასუფთავებელთათ, მოიწყოს ლუქციების კითხვა, აკრძალულ იქნას ქალაქში ძველი ტანსაცმლის გაყიდვა, თუ წინდაწინ დეზინფიცია არ ეწერება გაკეთებული, მიღებულ იქნას ზომები, რომ ქალაქში არსებული ბანოები ამშობდეს; მიეწოთს სასანიტარო ეკიმს დაპეშლოს დარიგებანი და გაკრას ქალაქში და სხვ. კომისიის კრებაზე გამოირკვა, რომ შავი სახადით ბარაკებში იმყოფება 13 ავათმყოფი, სამხერო გოსპიტალში კი—30 ავათმყოფი.

○ გუბერნიის კომისარის განკარგულებით სამსახურიდან დაითხოვეს ტყისუელის რაიონის კომისარი დარაბაზელი. ის ადგილს დაინიშნა ფბაკიე.

○ თანახმად საგუბერნიო მთავრობის დადგენილებისა, მოხდება მთელ მაზრებში მილიციის რეორგანიზაცია. მილიციაში მიიღება გამოწერილნი და სამედო პირები. სახოგადოებებში იქნება ცხენოსანთა მილიცია, რომელთაც თვიური ჯამაგირი ეჭქნა 600 მანეთი.

○ ქუთაისის მაზრის კომისარი დეკი და დღეებში გაემგზავრება ტ. ბაღდათის რაიონში ადმინისტრაციის დასათვალიერებლათ, მას განსაზღვრა აქვს სოფლათ ესაბრის ბალს ადმინისტრაციის შესახებ, და განუსრატოს ხალის მიზანი და დანიშნულება ჩვენი მთავრობისა.

თავდაცვის ფონდი საქართველოს რესპუბლიკის

მეორეთ დამხმარე კომიტეტში შემოვიდა შემოწირულება ფულად.

წინანდალის გიმნაზიის მოწაფეთაგან—700 მ., გრ. ბერიძე 17 ჯ., ელენე ჭიკანავე 22 მ., ნინო ქართველიშვილისაგან—სჯ. ქართული სკოლის მოწაფეთა შორის შეგროვილი 35 მ. 65 კ., გიორგი კახაბრიშვილისაგან—სოფ. ნორიის საზოგადოების სწორედის 600 მ., კ.ა. გიორგაძისაგან და ელადა. ლომბანძისაგან შეგროვილი შეშებსა და ჯარის-კაცებში 664 მ., კ.ა. გიორგაძისაგან და ვ. ლომბანძისაგან, ბენ. ლეკ. ვაჩნაძისაგან 100 მ., ტარასი ფილავანძისაგან 50 მ., ფოთის ქალთა სახოგადოების თათსონთი შეგროვილი 3715 მან. 45 მან., მიხ. კახანაოფისაგან 8 მ., ეკატერინოფისაგან 100 მ., ან. მეცამეტეშვილისაგან 200 მ., ალ. ადამიანისაგან შინაგან საქმეთა სამინისტროში შეგროვილი 763 მ., შრომის კოოპერატივისაგან—1000 მან. გიორგი მარშანიასაგან—1000 მან., ბიჭიები შალვაყაძისაგან—500 მან., გზირი შეილისაგან—25 მ., გურგენოვისაგან—20 მ. მაშენარაშვილისაგან—5 მ., კონ. დოლიძისაგან—500 მ., თეოფ. გოლაძისაგან—500 მ., გრ. არჩვაძისაგან—200 მ., პოლკ. ჩოჩუაშვილისაგან და ტფილი ოლია მირზაშვილი-ჩოჩუაშვილისაგან—500 მ. ან. გაბაშვილისაგან—3 მ., ეკ. თავართქილაძისაგან—100 მ. მარ. ბაბაშილისაგან—100 მ. პოლკოვნიკ ჩხეიშვილისაგან—500 მან., შესაც ვაჟთა გიმნაზიისაგან—615 მან., ბუა დადიანისაგან 25 მან., სპეციალო წყნეთის სასწყვედ. წმობელთა და მოწაფეთაგან 63 მ. 70 კ., მეურვისაგან სახოგადოების კოოპერატივისაგან 10,000 მან., გორის სპეციალო გიმნაზიიდან 2588 მ. 70 კ., ოტრის სახოგადოებისაგან 422 მ. 50 კ., დაეფო ამირეჯიბისაგან კლუბში შეგროვილი 300 მან., გორის ქალთა სახოგადოება „მანდილოსანი“-დან 1738 მან. 30 კ., ვანო გოგოშელისაგან სუფრაზე შეგროვილი 490 მ., კ. სალეკეთისაგან 50 მ., ელისბარ ეიდისაგან 50 მან., ხაშის სახოგადოებისაგან 340 მ., ბარ. ზაალოფლისაგან 5. მეტიზში შეგროვილი 156 მ., ვოლიაშვილისაგან 10 მ., სუფთათშეილისაგან 10 მან., ნინო გაბუაოვილისაგან 10 მ., ვანო მაჟაგარიანისაგან 20 მ., რუკვ. ამილახვრისაგან 50 მ., მესამე ქალთა გიმნაზიის მასწავლებელთა და მოწაფეთაგან 1688 მ. 75 კ., ბაქარაფელოს რესპუბლიკის“ ბიჭი შეგროვილი 4210 მ., სამთო ცხენოსანთა ბატარეისაგან ფრინტზე გამართული წარმოდგენის შემოსავალი 500 მ., ვ. ჯაკუნეიშვილისაგან 150 მ., ქ. ლანჩხუთის ინტერპარტიული კომისიისაგან 18852 მ. 14 კ., მეშვიდე ქალთა გიმნაზიის მასწავლებლებისაგან და ამავე სასწავლ. ვაჭარიანი ორკესტრისაგან 1990 მან. 10 კ.,

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომრის სხდომაზე ამა წლის 6 იანვარს შეიოილება გრიგოლ კობაძემ ფასანური მცხოვრებლებისაგან შემოწირული ომის საჭიროებისათვის 7.631 მან. 50 კ. ეს ფული გადაეცა მთავრობის კანცელარიის ამავე დღის ინსტრუქცია № 23.

პარლამენტის კანცელარიის
უფროსი ტ. ჭ ა თ ი რ ი შ ვ ი ლ ი.

ახალ-ბორჯომის მოსახლეობა ითხოვს, რომ ბორჯომის ხეობაში ბორჯომის ხეობის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე ნადირობა აკრძალულ იქნეს.

ქარაგაულის სასარგებლო ქალთა 29-7-დე გიმნაზიაში ბარაკის ნივთებისა შეგროვდა ექვსი: მოწაფეთაგან—367 მან. 20 კ., მასწავლებელთაგან (ერთი დღის ჯამაგირი)—316 მან. 50 კ., და გიმნაზიაში გამართულ საბაგშო კინემატოგრაფისაგან 1673 მან. 60 კ. სულ—2357 მ. 30 კ. ეს ფული გადაეცა მეორედ დამხმარე მთავარ კომიტეტს. გიმნაზიის საგანურნეო კომიტეტი ურჩევს მშობლებს სწორედ ყველა მათ, ვინც თვისი წესული არ დაიშურა ამ წინანდ საქმისათვის. გიმნაზიის მასწავლებელთა ეფიქრებით კინემატოგრაფიულ ლენტების კანტორის „კოლხიდის“ პატრონს ტ. ი. გადელიას.

ქალთა მე 7-დე გიმნაზიის სამეურნეო კომიტეტის მონდობილობით. ა. ალშიბაიანი ი. ბებერაშვილისა.

ქრონიკა

○ საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოებას შემოსწირა 50,000 მან. რუსეთ.-სპარსეთის ნავთის მრეწველობის ბანაკიგან „რუპენტომ“ და 100 მან. ნ. გ. მდივანმა. საქ. წ. ჯ. საზოგადოების მთავარი სამხარეულო წემოწერილით ურჩევს მადლობას უცხადებს.

○ გუშინ დიდის ზეიმით შესდგა სასახლის წინ ქართველ ლაშქრის აღლუმი. ჰაერში პიროოპარტები დაშვრინავდნენ. აღლუმს დაესწრენ უცხოელ სახელოწფოთა წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი.

○ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა კრება, რომელიც კვირას 12 იანვარს უნდა შემდგარიყო, არ შესდგა წვერების დაუსწრებლობის გამო. გადაიდო შემდეგი კვირისათვის.

კავკასია—შავი-ზღვის

სავაჭრო-სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების წესდება.

§ 17. დროებითი მოწვევების ან სახელობით აქციების და მათ კუპონების, (ვარდა იმ კუპონებისა, რომელთა ვადა გასული ან მიმდინარეა) დამკარგველმა წერილობით უნდა განუცხადოს ამის შესახებ გამგეობას, დაკარგულ აქციათა ან მოწმობათა ნომრებიანი აღნიშნით. გამგეობა დამკარგველს ხარჯით გამოაცხადებს ამ ცნობას. თუ ექვსი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან არავითარი ცნობა არ მოვიდა დაკარგულ აქციების, დროებითი მოწმობების ან კუპონების შესახებ, მაშინ მათ პატრონებს ეძლევათ ახალი აქციები, დროებითი მოწმობები ან კუპონები ძველი ნორჩენით და წარწერით, რომ ისინი მიეცემათა დაკარგულ აქციების მაგიერ.

სახელობითი აქციების გასყიდ ან მიმდინარე ვადის კუპონების, წარმომდგენელის აქციების და მათი კუპონების დაკარგვაზე, გამგეობა არავითარი განცხადებას არ ღებულობს, და აღნიშნულ კუპონების დამკარგველი დივიდენდის მიღების უფლებას ჰკარგავს. როცა დადგება ვადა აქციების ახალი კუპონის ფურცლების მიღებისა, ასეთები ეძლევიან წარმომდგენელს.

§ 18. იმ შემთხვევაში თუ დროებითი მოწმობის ან აქციის პატრონი გარდაიცვლება, ოჯეფუნები, აქციებისა და დროებითი მოწმობების პატრონებთან ერთად, ერორილებიან ამ წესდების საერთო წესს, და წოდების მიხედვით არავითარი განსაკუთრებული უფლებები არ აქვთ საზოგადოების საქმეში.

საზოგადოების გამგეობა, უფლება და ვალდებულება მისი.

§ 19. საზოგადოების გამგეობა შედგება არა ნაკლებ სამისა და ბუთზე ორა მეტი, დირექტორისაგან, რომელსაც ირჩევს აქციონერთა საზოგადო კრება. დირექტორების არჩევის ვადა აღნიშნულია მე-22 §-ში. გამგეობას ხელი ერის ტერმინში.

§ 20. იმ დირექტორების მაგიერად, რომლებიც ვადის გასვლამდე, სამსახურს თავს დაანებებენ, ან და იძულებულნი არიან დროებით თავი დაანებონ თანამდებობის ასრულებას, აქციონერთა საზოგადო კრება ირჩევს

1—3 კანდიდატს. კანდიდატების არჩევის დადა ლოზიშეული 3ე-22 ნ-ში. კანდიდატები, შეუდგებიან დირექტორების მოვალეობის აღსრულებას უფროსობის მიხედვით და თუ უკანასკნელი ერთნაირია—ასაკით მეტიხნის ხმების სიმრავლის მიხედვით და თუ მიღებული ხმებიც ერთნაირია—კენჭით მეტიხნის ხმების რაოდენობით. დირექტორის მაგიერი კანდიდატი ასრულებს მის მოვალეობას იმ ვადის განმავლობაში, რომელშიდაც არჩეული იყო დირექტორი, მაგრამ არა უგვიანეს 2 ვადისა, რომელშიდაც თითონ არის არჩეული. კანდიდატები, დირექტორების მოვალეობის ასრულების დროს სარგებლობენ დირექტორების სრული უფლებებით.

§ 21. დირექტორად ან კანდიდატად უნდა აირჩეს ისეთი პირი, რომელსაც აქვს მის სახელზე ოცდა ათზე არა ნაკლები აქციი, რომლებიც დირექტორების ან კანდიდატების ვადის გათავებამდე უნდა ინახებოდეს საზოგადოების ჯახაში, ან სახელმწიფო ბანკის ადგილ-მამულების ზედა. და არაფის არ უნდა გადაეცეს მანამდე, სანამ არ დამტკიცდება აქციების პატრონთა ზოგადი კრების მიერ დირექტორების ყოველს ფაქიზებულ წლის ანგარიში და ბალანსი. საზოგადო კრების უფლება აქვს ზემოხსენებულ თანამდებობის ამსრულებელად აირჩიოს ისეთი პირნიც, რომელთაც 30-ზე ნაკლები აქციი აქვს, მაგრამ ამ რიგ არჩეულმა ეროი თვის ვადაში უნდა შეიძინოს 30 აქციი.

§ 22. დირექტორებისა და კანდიდატების არჩევის ერთი წლის შემდეგ. ყოველ წელიწადში თვეისუფლებით თანამდებობიდან ორი ან ერთი დირექტორი და ერთი კანდიდატი, პირველად ქენჭის ყრით და შემდეგ მიხედვით; იმ დირექტორებისა და კანდიდატების მაგრამაც, რომლებიც თანამდებობის თვეი დაიბნენ ამ დირექტორების და კანდიდატებს: ფველი დირექტორებისა და კანდიდატების არჩევა ხელახლად შეიძლება.

§ 23. დამაორებელის მიერ პირველ კრების მოწვევიდან ან ყოველ წლივ საერთო წლიური კრების შემდეგ, დირექტორები არჩევენ თავის წევრიდან თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

§ 24. გამგეობის წევრები მიიღებენ გასაჯელად წლისა მოკიდებულ რამდენიმე პროცენტს, ან განსაზღვრულ ჯამაგირს, ან ერთისაც და მეორესაც. ჯამაგირის როდენობას განსაზღვრავს აქციონერთა საერთო კრება.

§ 25. გამგეობა, კარგად მოწყობილ საკმარიო სახლის მზადყოფნაში, განაგებს საზოგადოების მიერ სანქციებს ყველ მოძრავ და უძრავ ქონებას. ამასთან გამგეობა:

ა. აქცევანზე შემოსულ ფულს ვადები და დროებით მოწმობებს მიაქცევა, და როცა აქციებზე მთელი გადასახადი იქნება შემოტანილი, მათ აქციების მიცემა;

ბ. ჯოგრაციული წესით, ბუღალტერიის, ჯასის და მიწერ-მოწერის მოწყობა და ანგრიფის წარდგენა ზოგადის კრებაზე;

გ. საზოგადოების ქონების დაზღვევა;

დ. საზოგადოების ქონების ფასების;

ე. საწყობების და ბინების ქირავება;

ვ. საზოგადოების ქონების ფარეველა;

ზ. საზოგადო კრების მიერ დად ენილ თანამსუქებლისა და სხვა სასწორიო ვალდებულებათა მიღება და გაცემა;

თ. საზოგადოების სახელზე შემოსულ თამასუქების დ-სკონტი;

ი. საზოგადოების სახელით ხელშეკრულებისა და პირობების დადება, როგორც სახჩინო ურწყებთან და სამმართველოებთან, ადგილად კერძო საზოგადოებებთან და ამხანაგობასთან, სამკალაო, სიგორები და საწყობებრიო დაწესებულებათან და კერძო პირებთან;

ქ. ვექსლებით აღებერა იმ პირთა, რომლებიც გამგეობამ მიიღო სამსახურში, აგრეთვე იმ პირთაც, რომლებიც საზოგადო კრებამ მიიღოს;

ლ. ვანონიერ აქტების შედგენა უძრავ ქონების შეძენაზე, გაყიდვაზე, იპოთეკით დადებაზე და დაგირავებაზე;

მ. აქციონერთა საზოგადო კრების მოწვევა და საერთო მართვა იმ საქმეებისა, რომლებიც საზოგადოების ეხება, გამგეობის მოკიდების წესს, მისი ფულების და მოვალეობის საზოგადოს განმარტებს ინსტრუქცია, რომელსაც დაამტკიცებს და ცვლის საზოგადო კრება.

§ 26. გამგეობა, აქციონერთა საზოგადო კრების დამტკიცების შემდეგ, არჩევს თავის წარდად ან კრების პირველ წერას, ორს ან მეტს დირექტორ-გამგეებს, რომლებსაც საზოგადო კრება უნდობნიშნავს გასაწერელოს თითოეულ მათგანზე, თუ ის გამგეობის წევრია, გარდა მე 21 § ში აღნიშნულ 30 აქციისა, უნდა წარმოადგინოს არა ნაკლები 30 აქციისა, რომლებიც ინახება იმავე ჯ-ში აღნიშნულ დირექტორ-გამგეების ინსტრუქციებს, რომლებიც მტკიცდება და იცვლება საზოგადო კრების მიერ. თუ დირექტორ-გამგეები დანიშნული არ იქნებიან არა გამგეობის შემდგენლობიდან, ამ უკანასკნელ მათ შორის ერთ-ერთი შეიძლება საზოგადო კრების წინაშე ამ საწყის ფულიან დაბარებით თავის პასუხისგებლობით საზოგადო კრების წინაშე ამ საწყის ფულიან ვალდებულებისა და შედეგის გამო. თვითეული ისეთი ხარჯის შესახებ ახლო მომავალ საზოგადო კრებას უნდა მოხსენდეს განსახილველად.

§ 28. საზოგადოების საქმეების შესახებ ჭიდელ მიწერ-მოწერას სწარმოებს გამგეობის სახელით ერთ დირექტორისგან ხელმოწერით. თამასუქების, ექვილერების, ხელშეკრულებანი, პირობანი, სიმტკიცის სიგელები და სხვა აქტები, აგრეთვე საზოგადოების მიერ საკრედიტო დაწესებულებებიდან ფულის ჭაშნე გამოტანის მოთხოვნილებანი, ხელმოწერილი უნდა იქნენ, ყოველ შემთხვევაში, ორ დირექტორისაგან მაინც, მიმდინარე ანგარიშის ჩეკებზე ხელს აწერს ერთი ერთი დირექტორი, რომელიც რწმუნებული გამგეობის დადგენილების საფუძველზე ფულის ჭაშნე გამოტანის მოთხოვნილებანი, ხელმოწერილი უნდა იქნენ, ყოველ შემთხვევაში, ორ დირექტორისაგან მაინც, მიმდინარე ანგარიშის ჩეკებზე ხელს აწერს ერთ-